საავიაციო ტრანსპორტის გავლენა საქართველოს ტურიზმზე და მისი განვითარების პერსპექტივები

ნინო ბეროშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე ტურიზმის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ტურიზმის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი ქემერტელიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორებისადმი აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.[1]

ნინო ბეროშვილი

თარიღი: 03.07.2021“

[1] *“ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი დაიწერა და წარდგენილი იყო როგორც სიმულაციური ნაშრომი აკადემიური წერის კურსზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლაში(02.02.2021)*

აბსტრაქტი

თანამედროვე სამყაროში ტურიზმის ინდუსტრია და საავიაციო ტრანსპორტი ურთიერთდაკავშირებული სფეროებია. საჰაერო ტრანსპორტის განვითარება ნებისმიერი ქვეყნისთვის ეკონომიკური კეთილდღეობისა და ტურისტების რაოდენობის გაზრდის მანიშნებელია. აღნიშნული საკითხი აქტუალურია ჩვენი ქვეყნისთვის, ვინაიდან საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობითა და ავიასფეროში არსებული რესურსების გათვალისწინებით დიდი პოტენციალი გააჩნია, ტურიზმის სფერო გააძლიეროს.

სადიპლომო ნაშრომის მიზანია გამოკვეთოს და ნათლად წარმოაჩინოს საავიაციო ტრანსპორტის როლი და მნიშვნელობა ტურიზმში, თუ როგორ შეუწყობს იგი ხელს საქართველოს ტურიზმის სფეროს წინსვლა-განვითარებასა და საერთაშორისო ვიზიტორთა ნაკადის ზრდას. ამიტომ მიზნის სწორად განსასაზღვრად ჩატარდა საკაბინეტო და თვისებრივი კვლევა. მეორადი კვლევის ძირითადი წყაროებია ქართველ და უცხოელ ავტორთა სამეცნიერო ნაშრომები, პუბლიკაციები, ორგანიზაციების გამოქვეყნებული მასალები საავიაციო ტრანსპორტისა და ტურიზმის სფეროს შესახებ. ასევე, საკვლევი მასალა გამდიდრებულია სამთავრობო სტატისტიკური მონაცემებით. რაც შეეხება თვისებრივ კვლევას, სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით გამოკითხულია საქართველოში მოქმედი ტურიზმისა და ავიასფეროში მოღვაწე მნიშვნელოვანი ორგანიზაციები. ჩატარებული კვლევით ირკვევა საავიაციო ტრანსპორტის განვითარების ეტაპები მსოფლიოსა და საქართველოში; თანამედროვე ტრანსპორტის მდგომარეობა და ტურიზმის გამოწვევები; საქართველოს რესურსები ავიასფეროში, კოვიდ 19-ის პერიოდში მსოფლიოსა და საქართველოს ავიაბიზნესის მდგომარეობა; ავიაციის შემაფერხებელი და ხელშემწყობი ფაქტორების ზეგავლენა საქართველოს ტურიზმის ინდუსტრიაზე და ქვეყნის შესაძლებლობები არსებულ საკითხთან მიმართებით. ნაშრომში საქართველოს მდგომარეობა განხილულია 2015-2020 წწ.-ის, ხოლო მსოფლიოსი - 2012-2020 წწ.-ის მონაცემებით, ვინაიდან ორივე შემთხვევაში შემოსავლებისა და

ტურისტების მნიშვნელოვანი ზრდაა დაფიქსირებული. ამასთანავე, კვლევის მეთოდოლოგიამ წარმოაჩინა პროცესის თანმდევი სირთულეები.

ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ტურიზმის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანია ქვეყნებს შორის თავისუფალი მიმოსვლა, აეროპორტების კეთილმოწყობა, საშეღავათო სამგზავრო პაკეტების არსებობა. შედეგებიდან აშკარაა საქართველოში ავიასფეროს დადებითი გავლენა მგზავრთა ნაკადის ზრდაზე. თუმცა არსებობს შემაფერხებელი გამონაკლისები, როგორიცაა, მაგალითად, რუსეთის ქმედება - ცის ჩაკეტვა, ან კოვიდ-19. კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა რიგი პრობლემები, როგორიცაა: იაფი ავიაკომპანიების ნაკლებობა საქართველოს ავიაბაზარზე, ბილეთების მაღალი ფასები, ავიასფეროში დადებული ხელშეკრულებები და ის მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც აფერხებს ქვეყნის ტურიზმის განვითარებას.

დასკვნის სახით შეჯამებულია კვლევის შედეგები, წარმოდგენილია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება საქართველოში ავიატრანსპორტის განვითრებით ხელი შეეწყოს ტურიზმს. დასახულია არსებული პრობლემების მოგვარების გზები და სამომავლო განვითარების პერსპექტივები.

საკვანძო სიტყვები: ავიატრანსპორტი, ტურიზმის გამოწვევები, ვიზალიბერალიზაცია, საერთაშორისო ვიზიტორები.

Abstract

In the modern world, the tourism industry and aviation are interrelated fields. The development of air transport is an indicator of economic prosperity and increased tourism for any country. This issue is relevant for our country, because Georgia's geopolitical location and resources in the aviation sector have great potential to strengthen the tourism sector.

The aim of this study is to highlight and clearly present the role and importance of aviation transport in tourism, how it will contribute to the development of the Georgian tourism and increase the flow of international visitors. Therefore, secondary and qualitative research was conducted to correctly determine the purpose. The main sources of research are scientific papers of Georgian and foreign authors, publications, materials published by organizations in the field of aviation and tourism. Also, the research material is enriched with government statistics. As for the qualitative research, in-depth interview was conducted with important tourism and aviation organizations, operating in Georgia. The research reveals the stages of aviation transport development in the world and in Georgia; The state of modern transport and the challenges of tourism; Georgian resources in the aviation sector, the state of world and Georgian aviation business during the Covid-19 period; Impact of aviation obstacles and facilitators on the Georgian tourism industry and the country's opportunities to the existing issue. The paper discusses the situation in Georgia according to the data of 2015-2020 and in the world in 2012-2020, as in both cases there is a significant increase in revenues and tourists. In addition, the research methodology presented the attendant difficulties of the process.

The study revealed, that free traffic between the countries, improvement of airports, existence of preferential travel packages is important for the promotion of tourism. The results show the positive impact of the aviation sector on the growth of passenger traffic. However, there are detrimental exceptions, such as Russia's action to close the airspace, or Covid-19. The study identified a number of problems, such as: lack of cheap airlines in the Georgian air market, high ticket prices, contracts in the aviation and those important issues that hinder the development of tourism in the country.

As a conclusion, the results of the research are summarized, recommendations are presented on how tourism can be promoted by developing air transport. Outlined are Ways of solving existing problems and prospects for further development.

Key-words: air transport, tourism challenges, visa liberalization, international visitors.

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს - ბატონ გიორგი ქემერტელიძეს, რომელიც მნიშვნელოვნად დამეხმარა ნაშრომის სტრუქტურისა და სხვა დეტალების ჩამოყალიბებასა და დახვეწაში.

ამასთან ერთად, მადლობა კვლევაში მონაწილე ყველა პირსა და ორგანიზაციას, რომელთაც მომაწოდეს საინტერესო და სწორი ინფორმაციები.